პირობითი აღნიშვნები

2.3 - 4ცალი

2.1 - 2ცალი

4.1.2 - 2ცალი

4.1.1 - 3ცალი

5.19.1 - 7ცალი

5.19.2 -7 ცალი

4.1.2 -7 ცალი



ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის
უფროსი
_____მ. მუმლაძე
/____/_____/ 2018 წ.

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის
უფროსის მოადგილე
_____დ. ჯოხაძე
/____/_____/ 2018 წ.

შპს ტასჰაბი

ქალაქი თბილისი, დასახლება მუხიანი, IV მ/რ, კორპუსი 42-ის მიმდებარედ ს/კ 01.11.17.006.986
მრავალფუნქციური შენობა ნაგებობის ტერიტორიაზე შესასვლელი და გამოსასვლელი გზის
მოწყობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების შუალედი სქემა

დამკვეთი:	შპს "ემ ემ ჯი ჯგუფი"	ტელეფონი: 599 29 11 92
შემსრულებელი:	შპს ტასჰაბი/406265410	ტელეფონი: 555584858

TASHUB

პირობითი აღნიშვნები

1.21.2 - 1 ცალი
1.21.3 - 1 ცალი
1.26 - 5 ცალი
3.10 - 2 ცალი
3.20 - 2 ცალი
3.24 - 2 ცალი
3.24 - 2 ცალი
8.11 - 1 ცალი
- სამშენებლო ღობის გან/კვ
- ციმციმა - 2 ც.
- ღობის განივი კვეთი
- სამშენებლო ღობე
- მედროშე - 1 ც.

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსის მოადგილე
_____დ. ჯოხაძე
/____/_____/ 2018 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი
_____მ. მუმლაძე
/____/_____/ 2018 წ.

შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია ვსნ "37-84" და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ შესაბამისად.
1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 100 მეტრს.
2. ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს სამუშაოები ბუფერული ზონა არ გვაქვს.
3. ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს სამუშაოები სავალი ნაწილის დახურული ზოლი არ გვაქვს.
4. სამუშაოების წარმოების ზონა შადგენს 100 მეტრს.
5.ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს სამუშაოები შესაბამისად სტაბილიზაციის ზონა არ გვაქვს.
6. ნახაზზე ნაჩვენებია დროებითი საგზაო ნიშნები.

შპს ტასჰაბი

ქალაქი თბილისი, დასახლება მუხიანი, IV მ/რ, კორპუსი 42-ის მიმდებარედ ს/კ 01.11.17.006.986
მრავალფუნქციური შენობა ნაგებობის ტერიტორიაზე შესასვლელი და გამოსასვლელი გზის მოწყობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

დამკვეთი: შპს "ემ ემ ჯი ჯგუფი" ტელეფონი: 599 29 11 92

შემსრულებელი: შპს ტასჰაბი/406265410 ტელეფონი: 555584858

TASHUB

პირობითი აღნიშვნები

1.21.2 - 1 ცალი
1.21.3 - 1 ცალი
1.26 - 5 ცალი
3.10 - 2 ცალი
3.20 - 2 ცალი
3.24 - 2 ცალი
3.24 - 2 ცალი
5.19.1 - 6 ცალი
5.19.2 -6 ცალი
8.11 - 1 ცალი
- შესასვლელი
- ციმციმა - 2 ც.
- ღობის განივი კვეთი
- საშენებლო ღობე - უსაფრთხ. ლენტი
- მედროშე - 4 ც.

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსის მოადგილე
_____დ. ჯოხაძე
/____/_____/ 2018 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი
_____მ. მუმლაძე
/____/_____/ 2018 წ.

შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია ვსნ "37-84" და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ შესაბამისად.
1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 100 მეტრს.
2. ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს სამუშაოები ბუფერული ზონა არ გვაქვს.
3. ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს სამუშაოები სავალი ნაწილის დახურული ზოლი არ გვაქვს.
4. სამუშაოების წარმოების ზონა შადგენს 100 მეტრს.
5.ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს სამუშაოები შესაბამისად სტაბილიზაციის ზონა არ გვაქვს.
6. ნახაზზე ნაჩვენებია დროებითი საგზაო ნიშნები.

შპს ტასჰაბი

ქალაქი თბილისი, დასახლება მუხიანი, IV მ/რ, კორპუსი 42-ის მიმდებარედ ს/კ 01.11.17.006.986
მრავალფუნქციური შენობა ნაგებობის ტერიტორიაზე შესასვლელი და გამოსასვლელი გზის მოწყობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

დამკვეთი: შპს "ემ ემ ჯი ჯგუფი" ტელეფონი: 599 29 11 92

შემსრულებელი: შპს ტასჰაბი/406265410 ტელეფონი: 555584858

TASHUB

ქალაქი თბილისი, დასახლება მუხიანი, IV მ/რ, კორპუსი 42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.17.006.986)

საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასება არსებულ საკვლევ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე

დამკვეთი: შპს "ემ-ემ-ჯი ჯგუფი"

შემსრულებელი: შპს "ტასჰაბი"

ქ. თბილისი

2019

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 16-011901683
თარიღი: 16/01/2019
პინი: 0649

ადრესატი: შპს ემ-ემ-ჯი ჯგუფი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404508724
მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორ. 5, ბ. 35

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

შპს „ემ-ემ-ჯი ჯგუფი"-ს დირექტორს

ბატონ გიორგი ქუთათელაძეს

ბატონო გიორგი,

2018 წლის 25 დეკემბრის თქვენი N10/011835936-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მ/რ, კორპუსი 42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.17.006.986) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის სატრანსპორტო კვლევის არეალის განსაზღვრას, გაცნობებთ:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ²" ქვეპუნქტის თანახმად II, III, IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას წარმოსადგენია:

1. საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

2. ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

მოძრაობის ორგანიზების სქემა უნდა შეთანხმდეს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა და საპატრულო პოლიციასთან. მოძრაობის ორგანიზების სქემის შესათანხმებლად ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში წარმოდგენილი უნდა იყოს CD დისკზე ჩაწერილი .dwg ფორმატის სქემის ფაილი და A3 ფორმატით ამობეჭდილი ოთხი ფერადი ეგზემპლარი. სქემის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობის განცხადების (ურბანულ ან არქიტექტურის სამსახურში შეტანილი) ნომერი და საკადასტრო კოდი. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ საპროექტოდ გათვალისწინებული გზა ხვდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შუალედური პასუხი. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში შეთანხმების შემდეგ სქემა უნდა შეთანხმდეს საპატრულო პოლიციასთან. ამის შემდეგ, შეთანხმებული სქემა უნდა აიტვირთოს არქიტექტურული პროექტის სხვა დოკუმენტაციასთან ერთად არქიტექტურის საქალაქო სამსახურის ვებ გვერდზე.

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კომპონენტები და საკვლევი არეალები მოცემულია დანართის სახით.

დანართი 1: 4 ფურცელი

დანართი 2: 1 ფურცელი

დანართი 3: 1 ფურცელი

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

	წინასაპროექტო კვლევა	საკვლევი ტერიტორია	განმარტება
1	საკვლევი ტერიტორიის არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა		
1.1.	საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა და რეზერვი	<u>ქუჩები:</u> ა. გობრონიძის ქუჩა; რ. შენგელიას ქუჩა <u>კვანძები:</u> N1. ა. გობრონიძის ქუჩა - ა. ისაკიანის ქუჩა N2. ა. გობრონიძის ქუჩა - რ. შენგელიას ქუჩა N3. რ. შენგელიას ქუჩა - თ. შეშელიძის ქუჩა	საჭიროა მონიშნული ქუჩებისა და კვანძების ***გამტარუნარიანობის გამოთვლა, არსებული ნაკადების დათვლა და რეზერვის გაანგარიშება.*** საკვლევი ტერიტორია უნდა მოიცავდეს იმ გზებსა და შირითად კვანძებს, რომლებიც უზრუნველჰყოფს საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქთან სხვადასხვა მიმართულებით, მიზიდვის ძირითადი წერტილებისაკენ.
1.2.	საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და საქვეითე მისაწვდომობა	*საპროექტო ტერიტორიიდან ა. გობრონიძის ქუჩაზე არსებულ ავტობუსის უახლოეს გაჩერებებამდე მისასვლელი გზა საქვეითე გადასასვლელების*	საქვეითე ინფრასქტრუქტურის შესწავლისას უნდა გამოვლინდეს საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში საზ. ტრანსპორტის გაჩერებამდე ***მისასვლელი მანძილი,*** საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით. ასევე საჭიროა ***საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია*** (უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა): ***ტროტუარის არსებობა, ბარიერები ტროტუარზე, უსაფრთხო საქვეითე გადასასვლელების არსებობა.*** ინვენტარიზაციის საფუძველზე უნდა მოხდეს საპროექტო ტერიტორიის საქვეითე მისაწვდომობის ანალიზი.

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

		გათვალისწინებით.	საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე მისაწვდომობისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანება არ არის ფეხითმოსიარულეთათვის ადვილად მისაწვდომი, მაცხოვრებელთა/ვიზიტორთა მგზავრობები უმეტესად მანქანით ხორციელდება. ასევე მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა.
1.3.	საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობა, მოცულობა და რეზერვი		საზოგადოებრივი ტრანსპორტის მდგომარეობის შესწავლისას საჭიროა საპროექტო ტერიტორიის მომსახურე საზ. ტრანსპორტის ***სივრცითი დაფარვის, მოცულობების და რეზერვის გამოთვლა.*** საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებული მომსახურების შესწავლა საჭიროა იმისთვის, რომ დადგინდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების არსებული რეზერვი. რეზერვის გამოთვლისა და ზეგავლენის შეფასების შემდგომ გამოვლინდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესების საჭიროებები.
2	**ინფორმაცია პროექტზე**		
2.1.	შენობის საერთო ფართობი ფუნქციების მიხედვით		ეს მონაცემი საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების დაახლოებითი რაოდენობის დასადგენად.
2.2.	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში მაცხოვრებელთა და ვიზიტორთა (თანამშრომელთა) რაოდენობა	**საცხოვრებელი და საოფისე**	ამ მონაცემის საფუძველზე დადგინდება ახალი გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა.

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

3.	**საპროექტო ტერიტორიის გენერირებული/მიზიდული (საპროგნოზო) მგზავრობები**		
3.1.	საპროექტო ტერიტორიაზე გენერირებული/მიზიდული მგზავრობების საერთო რაოდენობა		-
3.2	მგზავრობების მოდალური განაწილება		მოდალური განაწილება - გადაადგილების სხვადასხვა საშუალებების წილი მგზავრობების საერთო რაოდენობაში - მანქანა, საზ. ტრანსპორტი, ქვეითი, ტაქსი. ამ მონაცემის განსაზღვრა საჭიროა, იმის დასადგენად, თუ რა ზემოქმედება ექნება დაგეგმილ პროექტს სამანქანო ნაკადებზე; ასევე საზ. ტრანსპორტის მიწოდების დასაგეგმად და საქვეითე ინფრასქტრუქტურის მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმისათვის, რომ დიდი მასშტაბის განაშენიანებას არ ჰქონდეს უარყოფითი სატრანსპორტო შედეგები, საჭიროა ღონისძიებების დაგეგმვა, მოდალურ განაწილებაში სამანქანო გადაადგილების წილის შემცირების მიზნით. საპროგნოზო მგზავრობების მოდალური განაწილების დადგენა უნდა მოხდეს თბილისის ***შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის იმ მაკრო ან მიკრო ზონის მონაცემების საფუძველზე, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორია.*** თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbilisi.gov.ge/page/3218
3.3.	მგზავრობების სივრცითი განაწილება		ამ მონაცემით განისაზღვრება, რომელ გზებზე და კვანძებზე იქნება ზეგავლენა; საზ. ტრანსპორტის რომელ მიმართულებაზე/ხაზებზე იქნება მომსახურების გაუმჯობესება საჭირო; სად იქნება საჭირო საფეხმავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

			საპროგნოზო მგზავრობების სივრცითი განაწილების დადგენა უნდა მოხდეს *შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის იმ მაკრო ან მიკრო ზონის მონაცემების საფუძველზე, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორია.* თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbilisi.gov.ge/page/3218
4. საპროგნოზო გენერირებული/მიზიდული მგზავრობების ზეგავლენის შეფასება			
	• გზათა ქსელზე (მათ შორის ძირითად კვანძებზე); • საზოგადოებრივ ტრანსპორტზე; • საქვეითე ინფრასტრუქტურაზე		კვლევის წინა კომპონენტებიდან გამომდინარე საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების ზეგავლენის შეფასება ტრანსპორტზე და ტრანსპორტის ცალკეულ სახეობებზე.
5	**რეკომენდაციები**		ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ის ღონისძიებები, რაც საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების ტრანსპორტით უზურუნველყოფისა და მოდალურ განაწილებაში მანქანის როლის შესამცირებლად.
6	**გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები**		კვლევის ტექსტურ ნაწილში მითითებული უნდა იყოს კვლევისა და ანალიზისას გამოყენებული სტანდარტები და მეთოდოლოგია და შესაბამისი ლიტერატურა.

თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

http://tbilisi.gov.ge/page/3218

დანართი 2. საქვეითე ინფრასტრუქტურის კვლევის არეალი



დანართი 3. საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევის არეალი



სარჩევი

ფიგურები 1

ცხრილები 2

1.1 პრეისტორია 4

1.2 პროექტის მონაცემები, მიზნები და კვლევის მეთოდოლოგია 4

1.3 ქუჩათა ქსელის და კვანძების განხილვა 6

ფიგურები

ფიგურა 1. საკვლევი არეალი 5

ფიგურა 2. ა. გობრონოძის ქუჩის ჭრილი. 6

ფიგურა 3. რ. შენგელიას ქუჩის ჭრილი 7

ფიგურა 4. ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის კვანძი 8

ფიგურა 5. ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის კვანძის სურათები 8

ფიგურა 6. ა. გობრონიძის - რ. შენგელიას კვანძი 9

ფიგურა 7. ა. გობრონიძის - რ. შენგელიას კვანძის სურათები 9

ფიგურა 8. რ. შენგელია - თ. შეშელიძის კვანძი 10

ფიგურა 9. რ. შენგელია - თ. შეშელიძის კვანძის სურათები 10

ფიგურა 10. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა 12

ფიგურა 11. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი 12

ფიგურა 12. საპროექტო ტერიტორიის გეგმა 14

ფიგურა 13. საკვლევი არეალის ზონა # 49; ფიგურა 14. პროგნოზირებული მგზავრ. მოდალობა 15

ფიგურა 15. დილის მიზიდული ნაკადის მოდალობა 16

ფიგურა 16. საღამოს მიზიდული ნაკადის მოდალობა 17

ფიგურა 17. სატრანსპორტო ნაკადების მიმართულებები - ა. პოლიტკოვსკაიას - პ. ქავთარაძის - სანდრო ეულის ქუჩების კვეთაზე. 21

ფიგურა 18. სატრანსპორტო ნაკადების მიმართულებები - მინდელი - პოლიტკოვსკაია - ნუცუბიძის ქუჩების კვეთაზე 26

ფიგურა 19. სატრანსპორტო ნაკადების მიმართულებები - რ. შენგელია - თ. შეშელიძის ქუჩების კვეთაზე 31

ცხრილები

ცხრილი 1. ა. გობრონიძის ქუჩის აღწერა....6

ცხრილი 2. რ. შენგელიას ქუჩის აღწერა....7

ცხრილი 3. ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის კვანძის აღწერა....7

ცხრილი 4. ა. გობრონიძის - რ. შენგელიას კვანძი....9

ცხრილი 5. რ. შენგელია - თ. შეშელიძის კვანძის აღწერა....10

ცხრილი 6. M2 და M3 კატეგორიის საზ. ტრანსპორტის დილის დატვირთულობა....13

ცხრილი 7. M2 და M3 კატეგორიის საზ. ტრანსპორტის საღამოს დატვირთულობა....13

ცხრილი 8. საზ. ტრანსპორტის ნაკადები და რეზერვები....13

ცხრილი 9. საცხოვრებელი ფართი და მიზიდული ნაკადები....15

ცხრილი 10. დილის მიზიდული ნაკადი სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით....16

ცხრილი 11. საღამოს მიზიდული ნაკადი სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით....16

ცხრილი 12. ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის (09:00 – 10:00) დილის პიკის გამტარუნარიანობა და დატვირთულობის კოეფიციენტი....19

ცხრილი 13. დილის პიკური და პროექტით გენერირებული ნაკადების შედარება ინფრასტრუქტურის გამტარუნსარიანობასთან და რეზერვების დათვლა....20

ცხრილი 14. ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის (09:00 – 10:00) საღამოს პიკის გამტარუნარიანობა და დატვირთულობის კოეფიციენტი....20

ცხრილი 15. საღამოს პიკური და პროექტით გენერირებული ნაკადების შედარება ინფრასტრუქტურის გამტარუნსარიანობასთან და რეზერვების დათვლა....20

ცხრილი 16. ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის კვანძის ინტენსივობა 15 წთ. ინტერვალებით (დილით 9:00 – 10:00 და საღამოს 18:00 – 19:00)....22

ცხრილი 17. ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის კვანძის 1 სთ. ინტენსივობა (დილით)....23

ცხრილი 18. ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის კვანძის 1 სთ. ინტენსივობა (საღამოს)....23

ცხრილი 19. ა. გობრონიძის - რ. შენგელიას კვანძის დილის (09:00 – 10:00) პიკის გამტარუნარიანობა და დატვირთულობის კოეფიციენტი....24

ცხრილი 20. დილის პიკური და პროექტით გენერირებული ნაკადების შედარება ინფრასტრუქტურის გამტარუნსარიანობასთან და რეზერვების დათვლა....25

ცხრილი 21. ა. გობრონიძის - რ. შენგელიას კვანძის საღამოს (18:00 – 19:00) პიკის გამტარუნარიანობა და დატვირთულობის კოეფიციენტი....26

ცხრილი 22. საღამოს პიკური და პროექტით გენერირებული ნაკადების შედარება ინფრასტრუქტურის გამტარუნსარიანობასთან და რეზერვების დათვლა....26

ცხრილი 23. რ. შენგელია - ა. გობრონიძის კვანძის ინტენსივობა 15 წთ. ინტერვალებით (დილით 9:00 – 10:00 და საღამოს 18:00 – 19:00)....27

ცხრილი 24. რ. შენგელია - ა. გობრონიძის კვანძის 1 სთ. ინტენსივობა (დილით).....27

ცხრილი 25. რ. შენგელია - ა. გობრონიძის კვანძის 1 სთ. ინტენსივობა (საღამოს).....28

ცხრილი 14. ინტენსივობის დაყვანის კოეფიციენტები.....28

ცხრილი 18. დილით კვანძის გამტარუნარიანობა და დატვირთულობის კოეფიციენტი.....30

ცხრილი 19. დილის პიკური და პროექტით გენერირებული ნაკადების შედარება ინფრასტრუქტურის გამტარუნსარიანობასთან და რეზერვების დათვლა.....30

ცხრილი 20. საღამოს კვანძის გამტარუნარიანობა და დატვირთულობის კოეფიციენტი.....31

ცხრილი 21. საღამოს პიკური და პროექტით გენერირებული ნაკადების შედარება ინფრასტრუქტურის გამტარუნსარიანობასთან და რეზერვების დათვლა.....31

ცხრილი 30. რ. შენგელია - თ. შეშელიძის კვანძის ინტენსივობა 15 წთ. ინტერვალებით (დილით 9:00 – 10:00 და საღამოს 18:00 – 19:00).....32

ცხრილი 31. რ. შენგელია - თ. შეშელიძის კვანძის 1 სთ. ინტენსივობა (დილით).....32

ცხრილი 32. რ. შენგელია - თ. შეშელიძის კვანძის 1 სთ. ინტენსივობა (საღამოს).....33

1.1 პრეისტორია

სამშენბლო კომპანია „ემ-ემ-ჯი ჯგუფი“ გეგმავს ქ. თბილისში მუხიანის დასახლება, IV მ/რ კორპუსი 42-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.11.17.006.986 საცხოვრებელი სახლის მშენებლობას და შესაბამისი პროექტით მიმართა ქალაქის მერიას მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე. 25.12.2018 წლის, 10/011835936-16 წერილის თანახმად გაეგზავნა შუალედური შეტყობინება მერიიდან და დაევალა მიმდებარედ საგზაო ინფრასტრუქტურისა და საგზაო ნაკადების შესწავლა, კერძოდ **ა. გობრონიძის და რ. შენგელიას** ქუჩების, **ა. გობრონიძის და ა. ისაკიანის** ქუჩების, **ა. გობრონიძის და რ. შენგელიას** და **რ. შენგელიას და თ. შეშელიძის** ქუჩების და მათი კვეთების კვლევა სხვადასხვა სცენარების და სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით.

საგზაო სატრანსპორტო ზემოქმედების შესაფასებლად არსებული ქსელის ინსპექტირება იქნა ჩატარებული. გარდა ინსპექტირებისა სხვადასხვა სახის ინფორმაცია, დაკავშირებული საგზაო მოძრაობასთან იქნა მოგროვებული სხვადასხვა მონაწილე მხარეებისგან. ეს ინფორმაცია მოიცავს ნაკადების რაოდენობრივი ცვლილებების ისტორიულ მონაცემებს, საგზაო შემთხვევების სტატისტიკას და ასევე დაგეგმილ სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოებს.

არსებული მდგომარეობის შესაფასებლად ჩატარდა კვეთებზე მიმართულებების მიხედვით ნაკადების რაოდენობრივი თვლა და 15 წუთიანი პერიოდებით აღრიცხვა. ასევე იქნა დათვლილი და აღრიცხული ფეხითმოსიარულეები.

ინფორმაცია, როგორიცაა პროექტით გათვალისწინებული საცხოვრებელი, კომერციული და საპარკინგე ფართი მოწოდებულ იქნა „ემ-ემ-ჯი ჯგუფის“ მიერ. ისეთი მონაცემები, როგორიცაა გენერირებული ნაკადები და მათი სახეობრივი განაწილება გამოთვლილ იქნა შინამეურნეობის კვლევის შესაბამისად.

1.2 პროექტის მონაცემები, მიზნები და კვლევის მეთოდოლოგია

ჩვენს მიერ შესრულებული სატრანსპორტო კვლევის მიზანია დადგინდეს ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მ/რ კორპუსი 42-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.17.006.986) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზანშეწონილობა საგზაო ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ქვეითთა მისაწვდომობის კუთხით.

კვლევის დასახული მიზნის მისაღწევად განვიხილავთ **ა. გობრონიძის და რ. შენგელიას**, **ა. გობრონიძის და ა. ისაკიანის**, **ა. გობრონიძის და რ. შენგელიას** და **რ. შენგელიას და თ. შეშელიძის** კვანძების დღეს არსებულ მდგომარეობას, საგზაო ინფრასტრუქტურას, ქვეითთა მოძრაობას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას. საპროექტო და საკვლევი ტერიტორია ნახაზზე იხილეთ ფიგურა 1-ზე.

ფიგურა 1. საკვლევი არეალი



პროექტის მიზანს წარმოადგენს დასაბუთება არსებული მშენებლობის და შემდგომში მიმდინარე განვითარებების და ცვლილებების გათვალისწინებით გენერირებული ნაკადების შედეგად გამოწვეული ზრდის ადექვატურობა არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურასთან მიმართებაში.

ნაკადებსა და ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასების მიზნით, ზემოთხსენებული ქუჩებისა და მათი კვანძების დეტალური ინსპექტირება იქნა ჩატარებული. ინფორმაციის მოსაპოვებლად საპროექტო გუნდმა გამოიყენა შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახმელეთო სატრანსპორტო სამსახურის მიერ მომზადებული სტატისტიკები. ეს მოიცავს სატრანსპორტო ინციდენტებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, გზის საფარის მდგომარეობასთან და დაგეგმილ სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებულ მონაცემებს. ასევე პროექტის მიმდინარეობისას გამოკითხულ იქნენ ტერიტორიაზე მდებარე მაღაზიების თანამშრომლები და სხვადასხვა საქმიანობით დაკავებული პირები ტერიტორიის მიმდებარედ.

კვლევა შედგენილია ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასების სახელმძღვანელოს (HCM – Highway capacity manual)-ის მიხედვით. ეს სახელმძღვანელო განმარტავს ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებს. ასევე გამოყენებულ იქნა შინამეურნეობის 2016 წლის, სისტრას კვლევა, რომელიც მოიცავს სატრანსპორტო სისტემებთან დაკავშირებულ გამოთვლებს და ანალიზს. კვლევისთვის აუცილებელი მაჩვენებლები დათვლილია СНиП 2.07.01-89, ОДМ 218.2.020-2012-ის და საქართველოს საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის შესაბამისად. ნახაზები შედგენილია CAD-ის და QGIS-ის პროგრამების გამოყენებით. სხვადასხვა დეტალური მონაცემები დაკავშირებული მშენებლობის პროცესებთან დათვლილი და დამუშავებული იქნა „ემ-ემ-ჯი ჯგუფის“ საპროექტო გუნდთან ერთად.

კვლევის ფარგლებში დამუშავდა საქვეითე და საგზაო ინფრასტრუქტურა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა და დატვირთულობა, სატრანსპორტო და ქვეითი ნაკადების აღრიცხვა, მათემატიკური ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები.

1.3 ქუჩათა ქსელის და კვანძების განხილვა

კვლევის ფარგლებში, პირველ რიგში განვიხილავთ **ა. გობრონიძის** და **რ. შენგელიას** ქუჩებსა და **ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის**, **ა. გობრონიძის - რ. შენგელიას** და **რ. შენგელია - თ. შეშელიძის** კვანძებზე არსებულ მდგომარეობას. ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში და ფიგურებზე დეტალურადაა გამოსახული ქუჩების და კვანძების მახასიათებლები.

ცხრილი 1. ა. გობრონიძის ქუჩის აღწერა

N:	ა. გობრონიძის ქუჩა	
	მახასიათებლები	მონაცემები
1	მიმართულება	ორმხრივი
2	ხაზების რაოდენობა	3-3
3	სიგრძე	2200 მ.
4	სიგანე	12 – 13 მ.
5	დაშვებული სიჩქარე კმ/სთ	60
6	საფეხმავლო ბილიკი	კი
7	სიგანე	4 მ.
8	პარკირება	კი
9	საზოგადოებრივი ტრანსპორტი	M2 და M3
10	საზ. ტრანსპორტის გამოყოფილი ზოლი	არა
11	შუქნიშანი	კი
12	საფეხმავალო გადასასვლელები	კი
13	ველო ბილიკი	არა
14	ინფრასტრუქტურის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი

ფიგურა 2. ა. გობრონოძის ქუჩის ჭრილი.



ცხრილი 2. რ. შენგელიას ქუჩის აღწერა

N:	რ. შენგელიას ქუჩა	
	მახასიათებლები	მონაცემები
1	მიმართულება	ორმხრივი
2	ხაზების რაოდენობა	2-2
3	სიგრძე	650 მ.
4	სიგანე	8 მ.
5	დაშვებული სიჩქარე კმ/სთ	60
6	საფეხმავლო ბილიკი	კი
7	სიგანე	1 მ.
8	პარკირება	არა
9	საზოგადოებრივი ტრანსპორტი	არა
10	საზ. ტრანსპორტის გამოყოფილი ზოლი	არა
11	შუქნიშანი	კი
12	საფეხმავალო გადასასვლელები	კი
13	ველო ბილიკი	არა
14	ინფრასტრუქტურის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი

ფიგურა 3. რ. შენგელიას ქუჩის ჭრილი



ცხრილი 3. ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის კვანძის აღწერა

N:	მახასიათებლები	მონაცემები	
		ა. გობრონიძის ქ.	ა. ისაკიანის ქ.
1	მიმართულება	ორმხრივი	ორმხრივი
2	ხაზების რაოდენობა	3-3	2-2
3	სიგანე	12-12	8-8
4	დაშვებული სიჩქარე კმ/სთ	60	60
5	შუქნიშანი	არა	არა
6	საფეხმავალო გადასასვლელები	კი	კი

ფიგურა 4. ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის კვანძი



ფიგურა 5. ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის კვანძის სურათები







ცხრილი 4. ა. გობრონიძის - რ. შენგელიას კვანძი

N:	მახასიათებლები	მონაცემები	
		ა. გობრონიძის ქ.	რ. შენგელიას ქ.
1	მიმართულება	ორმხრივი	ორმხრივი
2	ხაზების რაოდენობა	3-3	2-2
3	სიგანე	12-12	8-8
4	დაშვებული სიჩქარე კმ/სთ	60	60
5	შუქნიშანი	არა	არა
6	საფეხმავალო გადასასვლელები	კი	კი

ფიგურა 6. ა. გობრონიძის - რ. შენგელიას კვანძი



ფიგურა 7. ა. გობრონიძის - რ. შენგელიას კვანძის სურათები





ცხრილი 5. რ. შენგელია - თ. შეშელიძის კვანძის აღწერა

N:	მახასიათებლები	მონაცემები	
		რ. შენგელიას ქ.	თ. შეშელიძის ქ.
1	მიმართულება	ორმხრივი	ორმხრივი
2	ხაზების რაოდენობა	2-2	2-2
3	სიგანე	8-8	8-8
4	დაშვებული სიჩქარე კმ/სთ	60	60
5	შუქნიშანი	არა	არა
6	საფეხმავალო გადასასვლელები	კი	კი

ფიგურა 8. რ. შენგელია - თ. შეშელიძის კვანძი



ფიგურა 9. რ. შენგელია - თ. შეშელიძის კვანძის სურათები







ნაკადების აღრიცხვა განხორციელდა ორი სამუშაო დღის მანძილზე დილის და საღამოს პიკის საათებში (13 – 14 თებერვალი, ოთხშაბათი - ხუთშაბათი 09:00 – 10:00 და 18:00 – 19:00 სთ). მონაცემები მოგროვებულ იქნა ადგილზე და აღრიცხვის ფორმა შევსებული HCM-ის შესაბამისად. ინტენსივობა აღრიცხულ იქნა 15 წუთიანი ინტერვალებით და შემდგომში შესაბამისად დაყვანილი. (იხილეთ ცხრილები 16; 17; 18; 23; 24; 25; 30; 31; 32).

აღირიცხა ასევე გაჩერებაზე M2 და M3 კატეგორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტი და მისი დატვირთულობა.

რუქებზე გამოსახულია საპროექტო ტერიტორიიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტის უახლოესი გაჩერებები და საქვეითე კავშირი საპროექტო ტერიტორიასა და საზ. ტრანსპორტის გაჩერებებს შორის.

- ა. გობრონიძის ქუჩაზე #2592 საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებამდე დაშორება 240 მეტრია, ხოლო #2590 საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებამდე ასევე 240 მეტრი და მდებარეობენ ერთმანეთის მოპირდაპირედ.
- საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი მეტროს სადგური „ახმეტელი“ მდებარეობს 2250 მეტრის მანძილზე.

ფიგურა 10 გამოსახავს ქვეითის მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის გასავლელ ქვეით გზას, ასევე ავტობუსის გაჩერებებს საიდენტიფიკაციო ნომრით. ცხრილებში გამოხატულია დაკვირვებები საზოგადოებრივ ტრანსპორტში ამსვლელ-ჩამომსვლელს და დატვირთულობის ხარისხს (იხილეთ ცხრილები 6; 7; 8).

ფიგურა 10. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა



ფიგურა 11. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი



ცხრილი 6. M2 და M3 კატეგორიის საზ. ტრანსპორტის დილის დატვირთულობა

M2 და M3 კატეგორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობა (09:00 - 10:00)														
N:	სიხშირე (რაოდ/სთ)	I - დაკვირვება			II - დაკვირვება			I - დაკვირვება			II - დაკვირვება			ჯამური დატვირთვა
		ასვლა	ჩამოსვლა	დატვირთვა	ასვლა	ჩამოსვლა	დატვირთვა	ასვლა	ჩამოსვლა	დატვირთვა	ასვლა	ჩამოსვლა	დატვირთვა	
29	6	0	2	12	1	2	11	2	1	10	1	0	13	46
17	4	3	2	6	3	1	8	1	2	7	1	0	6	27
76	4	8	3	31	6	4	31	4	6	28	2	3	31	121

ცხრილი 7. M2 და M3 კატეგორიის საზ. ტრანსპორტის საღამოს დატვირთულობა

M2 და M3 კატეგორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობა (18:00 - 19:00)														
N:	სიხშირე (რაოდ/სთ)	I - დაკვირვება			II - დაკვირვება			I - დაკვირვება			II - დაკვირვება			ჯამური დატვირთვა
		ასვლა	ჩამოსვლა	დატვირთვა	ასვლა	ჩამოსვლა	დატვირთვა	ასვლა	ჩამოსვლა	დატვირთვა	ასვლა	ჩამოსვლა	დატვირთვა	
29	6	1	2	12	1	1	9	2	1	11	2	1	12	44
17	4	1	3	11	2	1	10	1	2	11	2	2	9	41
76	4	6	5	32	5	4	31	5	4	32	7	5	30	125

ცხრილი 8. საზ. ტრანსპორტის ნაკადები და რეზერვები

M2 და M3 კატეგორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტი (09:00 - 10:00 და 18:00 - 19:00)											
M2 და M3 მარშუტი N:	მიმართულება	ტევადობა	ინტერვალი (წთ)	სიხშირე (რაოდენობა/საათში)	მოცულობა (ადამიანი/საათში)	დილის დატვირთულობა 09:00 - 10:00 (ადამიანი/საათში)		დილის რეზერვი (ადამიანი/საათში)	საღამოს დატვირთულობა 18:00 - 19:00 (ადამიანი/საათში)		საღამოს რეზერვი (ადამიანი/საათში)
		A	B	C=60/B	D=A*C	F_1		G=D-F_1	F_2		G=D-F_2
29	მუხიანის IV "ბ" მკრ	21	10	6.0	126	49	38.9%	77	56	44.4%	70
	მ/ს ახმეტელის თეატრი	21	10	6.0	126	65	51.6%	61	74	58.7%	52
17	მუხიანის IV "ბ" მკრ	43	17	3.5	152	25	16.5%	127	39	25.7%	113
	გადასასვლელი ხიდი	43	17	3.5	152	32	21.1%	120	42	27.7%	110
76	მუხიანის IV "ბ" მკრ	86	16	3.8	323	125	38.8%	198	121	37.5%	202
	მ/ს ახმეტელის თეატრი	86	16	3.8	323	67	20.8%	256	78	24.2%	245

1.4 მშენებლობის მიმოხილვა

ფიგურა 12. საპროექტო ტერიტორიის გეგმა



საკვლევი არეალი მდებარეობს ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მ/რ კორპუსი 42-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.11.17.006.986, რომლის ფართობი შეადგენს 2178 მ²-ს. იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, საერთო ფართით 6531.33 მ² რომლიდანაც საცხოვრებელი ფართი შეადგენს 5965.37 მ² -ს, 40 საპარკინგე ადგილით. შემდეგ ცხრილში მოცემულია გენერირებული ნაკადების მოდალური დაყოფა. მონაცემები დათვლილი იქნა შინამეურნეობის კვლევის გამოყენებით. საკვლევი ტერიტორია განთავსებულია მე-195 ზონაში (იხილეთ ფიგურა 12). ფიგურა 13 მოიცავს მშენებლობით გენერირებული ნაკადის მოდალურ განაწილებას, როგორც სქემაზე ჩანს ლიდერობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რასაც მოყვება მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

ფიგურა 13. საკვლევი არეალის ზონა # 49



ფიგურა 14. პროგნოზირებული მგზავრ. მოდალობა



ცხრილი 9. საცხოვრებელი ფართი და მიზიდული ნაკადები

K2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი	A	5965.37
საცხოვრებელი/სუფთა ფართი	B = A*(80%)	4772.30
დატვირთულობის კოეფიციენტი	41 დადგენილების შესაბამისად	18,6 მ^2
მაცხოვრებელთა რაოდენობა	D=B/18.6	257
მაცხოვრებელთა რაოდენობა	A	257
მობილობის მაჩვენებელი		1.56
მგზავრების საერთო მონაცემები	B=A*1.56	401
საპროგნოზო მგზავრობების წილი		12.40%
საპროგნოზო მგზავრობები	C=B*0.12	48
დილის პიკის წილი	30%; $C_დ$=B*0.30	120
საღამოს პიკის წილი	22%; $C_ს$=B*0.22	88
მოდალური განაწილება	**%**	**48**
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	39%	19
მანქანები მძროლებით	19%	9
მანქანები მგზავრებით	11%	5
ტაქსი	4%	1
ქვეითი	27%	13

1.5 მიზიდული ნაკადები

საკვლევ ზონა 159-იდან სხვა ზონების მიმართულებით მიზიდული გადაადგილებები ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებებისთვის შეადგენს 210-ს. ქვემოთ ცხრილებსა და ფიგურებში გამოსახულია დილის და საღამოს მიზიდული გადაადგილებები და მათი მოდალური განაწილებები.

ცხრილი 10. დილის მიზიდული ნაკადი სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით

ტრანსპორტის სახეობა	გენერირებული გადაადგილებები დილის პიკურ საათში	კოეფიციენტი	გადაადგილებები
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	120	0.29	35
მანქანები მძროლებით	120	0.28	34
მანქანები მგზავრებით	120	0.17	20
ტაქსი	120	0.03	4
ქვეითი	120	0.23	28

ფიგურა 15. დილის მიზიდული ნაკადის მოდალობა



ცხრილი 11. საღამოს მიზიდული ნაკადი სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით

ტრანსპორტის სახეობა	გენერირებული გადაადგილებები საღამოს პიკურ საათში	კოეფიციენტი	გადაადგილებები
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	88	0.38	33
მანქანები მძროლებით	88	0.34	30
მანქანები მგზავრებით	88	0.15	13
ტაქსი	88	0.04	4
ქვეითი	88	0.09	8

ფიგურა 16. საღამოს მიზიდული ნაკადის მოდალობა



მიზიდული მგზავრობების ზონალური განაწილება ზონა 159-დან სხვა ზონების მიმართულებით კერძო სატრანსპორტო გადაადგილებებისთვის შეადგენს 60-ს, რაც მთლიანი გადაადგილებების 28%-ს. უნდა აღინიშნოს, რომ მიზიდული გადაადგილებების მხოლოდ 13% შეადგენს ზონის შიდა გადაადგილებებს, დანარჩენი კი გარე ზონების მიმართულებით. ქვეითის წილი ასევე საგრძნობლად მაღალია და ასევე დიდია საზოგადოებრივი ტრანსპორტის წილი.

ზონებს შორის ნაკადების განაწილება:

საპროექტო სახლი აშენდება 159-ე მიკრო ზონაში და შინამეურნეობების სატრანსპორტო კვლევის ანგარიშით, მაცხოვრებელთა მგზავრობები აქედან ნაწილდება 30 მაკრო ზონაზე:
- მგზავრობების 23% თვით 36-ე მაკრო ზონის ფარგლებშია მოსალოდნელი
33% - სავარაუდოდ გადაადგილდება ჩრდილოეთი/ჩრდილო-აღმოსავლეთით გლდანის, მუხიანის, ნაწილობრივ თემქის სულ 6 მაკრო ზონაში;
11% - სავარაუდოდ გადაადგილდება საკვლევი არეალის 36-ე მაკრო ზონის სამხრეთ დასავლეთით მიმდებარე 35-ე ზონაში, პირობითი საზღვრით დ. სარაჯისვილის გამზ..;

3-3% - (სულ 6%) სავარაუდოდ გადაადგილდება წერეთლის გამზირის გასწვრივ მთელს მანძილზე განთავსებულ კვარტლებში და კომერციულად აქტიურ არეალებში 31-ე 1 მაკრო ზონაში;

2-2% - (სულ 6%)სავარაუდოდ გადაადგილდება მთლიანად პეკინის ქუჩასა და სანაპიროს შორის არეალში, რკინიგზის სადგურის და მასთან სიახლოვეს განლაგებული კვარტლების, დ.აღმაშენებლის გამზირთან მიბმული კვარტლების, ე.წ სანზონის, დადიანის და ერისთავის ქუჩების გასწვრივ კვარტლებში 3 მაკრო ზონაში;

1% - ნაწილდება 17 მაკრო ზონაზე - თბილისის ცენტრალური ნაწილის ავლაბრის, კრწანისი-სამგორის, ისნის მიმართულებებზე.

1.6 ქუჩების და კვანძების გამტარუნარიანობის კვლევა

კვანძი #1 - ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის ქუჩების კვეთა.

გზაჯვარედინი არ რეგულირდება შუქნიშნით, მთავარ ქუჩას წარმოადგენს ა. გობრონიძის ქუჩა და შესაბამისად ა. ისაკიანის ქუჩიდან მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს აქვთ დათმობის ვალდებულება.

ორივე ქუჩაზე მოზრაობა ორმხრივია, თითო სამოძრაო ზოლით. მარჯვენა მხარეს განაგებულია საპარკინგე არეალი, რაც შესაბამისად ქმნის შეფერხებას და გასათვალისწინებელია გათვლების დროს.

დეტალური მოძრაობის სქემა კი იხილეთ ფიგურა 17-ზე. აღსანიშნავია, რომ ნაკადები გაყოფილია 11 მ-იანი ხეივნით, ორივე მიმართულების მარჯვენა მხარეებზე მოწყობილია საპარკინგე არეალები.

სამოძრაო ზოლების სიგანეები მოცემულია ცხრილებში ქუჩების და კვანძების აღწერის ნაწილში.

ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ქუჩებზე ორივე მხარეს განთავსებულია ავტობუსის გაჩერებები, რაც გავლენას ახდენს მოძრაობის დატვირთულობაზე და შესაბამისად გამოთვლებზე.

გზის გამტარუნარიანობას ქალაქის პირობებში, შუქნიშნით არარეგულირებადი გზაჯვარედინებისთვის ითვლება შემდეგი ფორმულით:

$$P = P_{max} \cdot n \cdot f_{ს} \cdot f_{სატვ.} \cdot f_{i} \cdot f_{ჯ} \cdot f_{ავტ.} \cdot f_{ტერ.} \cdot f_{R} \cdot f_{V} \qquad (1)$$

სადაც,

P - გზის გამტარუნარიანობა არსებული მდგომარეობით, ავტ/სთ;
P_{max} - მაქსიმალური სატრანსპორტო საშუალებების გამტარუნარიანობა ავტ/სთ;
n - სამოძრაო ზოლების რაოდენობა ერთი მიმართულებით;
$f_{ს}$ - ზოლის სიგანე
$f_{სატვ.}$ - ნაკადში მაღალი გაბარიტული სარტრანსპორტო საშუალებების კოეფიციენტი (%).
$f_{ქ}$ - გრძივი დახრილობის კოეფიციენტი %.
$f_{ჯ}$ - პარკირებიდან გამომდინარე შეზღუდვების კოეფიციენტი.
$f_{ავტ.}$ - ავტობუსების გაჩერებებით გამოწვეული შეფერხების კოეფიციენტი.
$f_{ტერ.}$ - ტერიტორიის სახეობის (ტიპის) კოეფიციენტი: ქალაქის ცენტრალური რაიონისთვის - 0,9, სხვა რაოონებისთვის - 1,0.
f_{R} - მრუდის რადიუსის კოეფიციენტი.
f_{V} - სიჩქარის შეზღედვის კოეფიციენტი.

დათვლილ იქნა გამტარუნარიანობის და დატვირთულობის კოეფიციენტები, მონაცემები იხილეთ ქვემოთ ცხრილებში.

ცხრილი 12. ა. გობრონიძე - ა. ისაკიანის (09:00 – 10:00) დილის პიკის გამტარუნარიანობა და დატვირთულობის კოეფიციენტი

მიმართულება	ქუჩის კრებსითი მაქსიმალური გამტარუნარიანობა P_{max}	ზოლების რაოდენობა ერთი მიმართულებით n	ზოლის სიგანე $f_ზ$	მაღალი გაბარიტების საჭრ. საშუალებების % $f_{საშ}$	დახრილობის კოეფიციენტი $f_ქ$	პარკირებული ავტომობილების შეფერხების კოეფიციენტი $f_პ$	ავტობუსების გაჩერებების გავლენის კოეფიციენტი $f_{ავტ}$	ტერიტორიის სახეობა/ტიპი $f_{ტიპ}$	მრუდის რადიუსი f_r	შეზღუდვა სიჩქარეზე f_v	გამტარუნარიანობა ავტ/სთ P	დატვირთვა Z
1,1+1,7+1,9+1,10	2100	3	0.99	0,95	1	0,91	0,83	0,9	1	1	4028	0.52
1,2+1,4+1,8	1800	2	0.93	0,98	1	1	0,78	0,9	1	1	2303	0.78
1,3+1,5+1,6+1,11+1,12	2100	3	0.99	0,95	1	0.91	0,80	0,9	1	1	3882	0.54
1.1+1.2+1.3	1800	2	0.93	0.98	1	1	0.80	0.9	1	1	2362	0.76
1.4+1.5+1.6+1.7	2100	3	0.99	0.95	1	0.91	0.85	0.9	1	1	4125	0.51
1.8+1.9+1.10+1.11+1.12	2100	3	0.99	0.95	1	0.91	0.80	0.9	1	1	3883	0.54

მიმართულებას მობრუნების მანევრით ვანგარიშობთ შემდეგი ფორმულით:

$$P = N\left(\frac{e^{-N/T*(\Delta t-1)}}{1-e^{-N/T*\delta t}}\right) \qquad (6)$$

სადაც,

N - მთავარი გზის ინტენსოვობა ერთ ზოლზე
e – ირაციონალური კონსტანტა ≈2,72
Δt (სპ)- ზღვრული ინტერვალის დრო, რომელიც დამოკიდებილა ინტენსივობაზე და მანევრის ტიპზე.
δt - მინიმალური ინტერვალი სატრანსპორტო. საშვალებებს შორის რომლებიც ასრულებენ მანევრს.

მეორე ხარისხოვან გზაზე მოძრაობის ინტენსივობის დაყვანილი მნიშვნელობა გამოითვლება ფორმულით:

$$N_{დაყ.მეორ} = N_{მეორ}\left(\psi_{დაყ.მარც}\,\eta_{მარც} + \psi_{დაყ.მარჯ}\,\eta_{მარჯ} + \psi_{დაყ.პირ}\,\eta_{პირ}\right) + \psi_{დაყ.მარც(მთ)}N_{მთ.მარც} \qquad (7)$$

მეორეხარისხოვან გზაზე მოძრაობის ინტენსივობის დაყვანილი ზღვრული მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით:

$$N_{max} = \frac{N_{დაყ.მეორ} - \psi_{დაყ.მარც(მთ)}N_{მთ.მარც}}{\psi_{დაყ.მარც}\eta_{მარც} - \psi_{დაყ.მარჯ}\eta_{მარჯ} + \psi_{დაყ.პირ}\eta_{პირ}}, \qquad (8)$$

სადაც,

$N_{მეორ}$, $N_{მთ}$ მოძრაობის ინტენსივობებია შესაბამისად მეორეხარისხოვან და მთავარ გზებზე;
$\psi_{დაყ}$ - დაყვანის კოეფიციენტები;
η - ცალკეული მიმართულებით მომხვევი ტრანსპორტის წილი.

